საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/7

12 თებერვალი, 2013 წ. **ქ. ბათუმი**

2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის” შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა** (სწავლის სემესტრული საფასურის პირველი ნახევარის გადახდისათვის) განისაზღვროს 2013 წლის 23 მარტის ჩათვლით.

2. სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის **შეჩერების აქტი გამოიცეს 2013 წლის 28 მარტს.**

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ფაკულტეტებისა და კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**